# ცნობის ფურცელი

**№ 2218** შაბათი, 26 ივლისი **1896—1903** ყოველ-დღიური გამოცემა **№ 2218**

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ფეტიტის სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და ცალკეული განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-ნაწერი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

**3** მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი

**„ცნობის ფურცელი"**

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე

**საფაბრიკო საწყობი**

**ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა**

**გ. ი. კალლიზმნ**

რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

**ტფილისი**, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—98)

**ტფილისის**

**კერძო სამკურნალო**

**მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

**დილით:**

**ნ. ტ. მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

**ზრ. ვ. სობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოთხი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წდ.) **ტელეფონი № 274.**

**ექიმი**

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

## აცხადებს

**მთარგმნელთა საყურადღებოდ:**

გასამრჯელო მთარგმნელებს მიეცემათ მხოლოდ იმ პიესების თარგმნაში, რომელიც წინადვე გადასათარგმნელად გამგეობის მიერ მოწონებული იქნება. მსურველთ შეუძლიანთ წარუდგინონ გამგეობას სათარგმნელად არჩეული პიესა და, თუ გამგეობამ მოიწონა, მთარგმნელს, გადათარგმნის შემდეგ, გასამრჯელო მიეცემა, თუნდაც პიესა დამდეგ სეზონში ვერ დაიდგას სცენაზე. (5—უ.—3)

**ქ. ქუთაისში**

ექიმი გაბრიელ იოსების ძე

**გოკიელოვი**

გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარს სახლში. ავადმყოფებს იღებს დილის 9—12 საათამდე, საღამოთი 5—7-დის. 7 საათიდან ელექტრონით წამლობა. (20—5.—4)

**დოქტორი მედიცინისა**

**ვ. ი. ინაშვილი**

მიიღებს შინაგან, ნერვებით და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს. დილით 10—12 საათ., საღ. 5—7 საათ.

რეუტოვის ქუჩა, № 6.

(10—124—10)

**ცინკოგრაფია**

**ქართველ. გამოც. ქართველთა ამხანაგობის**

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 37ა.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

## საზღვარ-გარედ

---

**ინგლისი.** წარსულ ოთხშაბათს სენჯემსჰოლში დიდი კრება მოახდინეს ჩემბერლენის სატამოჟნო პროექტის წინააღმდეგ. კრება ლონდონის ლიბერალურმა ფედერაციამ გამართა. ამნაირ კრებას ფედერაცია კიდევ ბევრს გამართავს ლონდონსა და იმის განაპირა უბნებში.

კრების თავმჯდომარემ კრება გახსნა და სთქვა: „აქ, სადაც ეხლა ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი ზის, სწორედ აი, ამავე სტოლთან 60 წლის წინად განთქმულ ლიგის კომიტეტი მოქმედებდა და მუშაობდა პურის ბაჟების წინააღმდეგ და პურის კანონის გაუქმებას სცდილობდა. ეხლა ჩვენ ისევ ხელ-ახლად დიდი ბრძოლა გვმართებს იმისათვის, რომ ხალხს იაფი პური ჰქონდეს. ეს დიდი სირცხვილია ცივილიზაციისათვის". ამის შემდეგ ლაპარაკის ნება ასკიტს მისცეს. ასკიტმა შემდეგი რეზოლიუცია წარუდგინა კრებას: „ჩემბერლენი წინადადებას იძლევა, ინგლისის სატამოჟნო პოლიტიკა შევცვალოთ და საჭმელ-სასმელსა და ხამ, შეუმუშავებელ მასალას ბაჟები დავადვათო. ჩვენი კრება ჰფიქრობს, რომ ეს პროექტი დიდ საფრთხეში ჩააგდებს ინგლისის ვაჭრობასა და ჩვენის ხალხის კეთილ-დღეობას. აქ შეკრებილნი მოვალენი არიან, ყოველი ღონე იღონონ, რომ ჩემბერლენის პროექტი არ განხორციელდეს". მერე ასკიტმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა ამ რეზოლიუციის დასასაბუთებლად. ორატორმა იკითხა:

„რას თხოულობს ჩემბერლენი? უსათუოდ უნდა დავიცვათ იმპერიის ერთიანობა; უსათუოდ კოლონიებიც მოვიმხროთ და იმპერიის ერთგულები გავხადოთ; უნდა საქმე ისე მოვაწყოთ, რომ კოლონიებს სარგებლობა ჰქონდეთ იმპერიისაგან; უცხოელ სახელმწიფოების მაგივრად კოლონიებიდან უნდა შემოვიტანოთ ჩვენთვის საჭირო საქონელიო. ამისათვის საჭიროა, უცხოეთიდან შემოტანილ პურსა და სხვა საჭმელ-სასმელს ბაჟი დავადვათო, აი ასეთ სატამოჟნო პოლიტიკას გვირჩევს ჩემბერლენი. მაგრამ ამ პოლიტიკის გამარჯვებისათვის ორი რამაა საჭირო. ამ პოლიტიკამ ის უნდა მოახერხოს, რომ უცხოელ სახელმწიფოების მაგივრად ჩვენი კოლონიებიდან მოდიოდეს პური და სხვა სანოვაგე. ცხადია, უცხოეთის საქონელს კოლონიების საქონელზე გაცილებით მეტი ბაჟი უნდა დაედვას, იმდენად მეტი, რომ კოლონიები წახალისდნენ და უცხოეთის მაგივრად თითონ მოგვაწოდონ ჩვენთვის საჭირო პური და სხვა სანოვაგე. ზოგიერთი მცოდნე კაცი ჰფიქრობს, რომ ამისათვის უცხოეთის ხორბალს თითო კვარტერზე 5 შილინგი ბაჟი უნდა დაედვას და ეს ბაჟი მაინცა და მაინც დიდი ბაჟი არ იქნებაო. დარწმუნებული ვარ, ეს ბაჟი საკმაო არ იქნება, მაგრამ ამაზე მეტის ბაჟის დაწესებაც რომ არ დაგვჭირდეს, მაშინაც-კი ჩვენმა ხალხმა წელიწადში 8 მილ. გ. სტ. მეტი უნდა დახარჯოს პურზე. ამ ფულიდან მარტო 5 მილ. შევა ხაზინაში. პურის ბაჟი ჩვენებურმა მუშტარმა უნდა გადაიხადოს და არა უცხოელმა ვაჭარმა. აბა შეადარეთ, რა ფასად იყიდება პური ჩვენში, გერმანიასა, საფრანგეთსა და იტალიაში. უცხო ქვეყნებში პური უფრო ძვირად იყიდება, სინამ ჩვენში, რადგან იმ ქვეყნებში პურს ბაჟი ადევს. ასე რომ ჩვენ გვირჩევენ, პური გააძვირეთ და მუშა ხალხი გაჭირვებაში ჩააგდეთ, თუ გინდათ, რომ კოლონიები იმპერიის ერთგულები იყვნენო (ტაშის ცემა). მაგრამ ეს არა კმარა. ჩემბერლენის პოლიტიკა ყველა კოლონიას ერთნაირად, მიუდგომლადა და სამართლიანად უნდა მოექცეს. კანადა, მაგალითად, პურის გარდა ამზადებს და ინგლისში ეზიდება ერბოს, ღორის ხორცს, კვერცხსა და ყველს და ამ საქონლის ვაჭრობაში დიდ მოცილეობას უწევს რუსეთს, დანიასა და შეერთებულ შტატებსა. მაშ ყველა ამ საქონელსაც ბაჟი უნდა დაედვას, ავსტრალია ინგლისში ცოტა ხორბალსა ჰგზავნის, სამაგიეროდ დიდ-ძალ ხორცს ეზიდება და ამით დიდ მოცილეობას უწევს არგენტინას. ცხადია, ავსტრალიას ისეთივე შეღავათი უნდა მიეცეს ხორცზე, როგორიც კანადას მიეცემა ხორბალზე. მერე სამხრეთ-აფრიკის დასაკმაყოფილებლად მატყლსა და ტყავსაც ბაჟი უნდა დაედვას, რადგან სამხრეთ-აფრიკას დიდ-ძალი მატყლი და ტყავი მოაქვს ინგლისში. ერთის სიტყვით, ჩემბერლენის წესები საუკუნო დავას გააჩენდა ინგლისსა და კოლონიებს შუა: ეს პოლიტიკა არათუ არ შეაერთებს და არ გაამაგრებს, პირიქით, დაანაწილებს და დასცემს ჩვენს იმპერიას (ტაშის ცემა). აბა ვნახოთ ინგლისი რაღას მიიღებს კოლონიებისაგან? ინგლისს გარედ მარტო ფაბრიკისა და ქარხნების ნაწარმოები გააქვს. არც ავსტრალია, არც კანადა ამ ნაწარმოებს არას დროს არ დააკლებენ ბაჟსა, რადგან ამით დიდ ზარალს მოუტანდნენ თავიანთ საკუთარ მრეწველობას".

მერე ასკიტმა იმ აზრის წინააღმდეგ ილაპარაკა, ვითომ ინგლისის ვაჭრობა თან-და-თან ეცემოდეს; ჯერ ერთი, რომ ვინც ამას ამტკიცებს, შინაური ვაჭრობა ავიწყდებათ და ეს ვაჭრობა კი უფრო სარფაა და უფრო მეტიცაა, სანამ გარეშე ვაჭრობა. მეორე, გარეშე ვაჭრობა უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ძლიერდება: 1873—1882 წ. ყოველ წელს 662 მილ. გ. სტერლინგის საქონელი გაჰქონდა ინგლისს, შემდეგ 1882—1892 წ. კი 696 მილ. (5% მომატებია) და 1893—1902 წ.წ.—771 მილ. (11% მომატებია); 1902 წ. ინგლისს 871 მილ. გირვ. სტერლინგის საქონელი გაუტანია გარედაო დასასრულ ასკიტმა სთქვა: რასაკვირველია, ინგლისი საუკუნოდ ვერ შეინარჩუნებს პირველობას მსოფლიო ბაზარში; ეს ყველასათვის ცხადია, ვისაც ისტორია და ეკონომიური მეცნიერება შეუსწავლია. ამ პირველობის მიზეზი ის იყო, რომ ინგლისი ყველაზე წინ გავიდა სამრეწველო ასპარეზზე და ჩვენი ხალხი სხვებზე უფრო მხნე და გამჭრიახი იყო; თავისუფალი ვაჭრობაც ხელს უწყობდა ჩვენს პირველობას. ეხლა ინგლისს მძლავრი მოცილეები გაუჩნდნენ: პირველი ჩვენი მეტოქე შეერთებული შტატებია. ამ სახელმწიფოს დიდი ადგილი უჭირავს და დიდ-ძალი ხალხი ჰყავს: იქაური ბუნება მდიდარი და ნაყოფიერია; მთელ შეერთებულ შტატებში ყველანი ერთმანეთში თავისუფლად ვაჭრობენ. მეორე, ჩვენი მეტოქე გერმანიაა. ამ სახელმწიფოშიაც 56 მილიონი სული ცხოვრობს. იქაური ხალხი მეტად შრომის მოყვარეა და მთელს ევროპაში არსადაა ისეთი მშვენიერი პირველ დაწყებითი, საშუალო და სატეხნიკო სწავლა, როგორიც გერმანიაშია. სამრეწველო ბრძოლაში ჩვენი ნამდვილი მტერი ზემოხსენებული გარემოებაა და არა ბაჟი და ტარიფი (ტაშის ცემა). ორატორი ბრმაყრუდ როდი უყურებს ინგლისის ვაჭრობის მომავალს. ასკიტი კარგად ჰხედავს, რომ ინგლისს ბევრის დაბრკოლების დაძლევა დასჭირდება, მაგრამ ამავე დროს მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ამ დაბრკოლებას ჩვენის წარსულის დიდების ხსენებით ვერას დავაკლებთო. საშუალ-საუკუნოების ხერხითა და ბაჟების დაწესებით ხომ სულ ვერას გავხდებით „ჩვენს დროში, როდესაც მრეწველობა ასე განვითარდა, თუ გვინდა, რომ ძველად ნაშოვნი ბაზრები შევინარჩუნოთ, ან ახალი ადგილები ჩავიგდოთ ხელში, უსათუოდ მეცნიერულის იარაღით უნდა ვიბრძოლოთო". (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

ბოლოს ასკიტის რეზოლიუცია ერთხმად მიიღო კრებამ.

**ავსტრო-უნგრეთი.** როგორც ვიცით, უნგრეთის სეიმში დეპუტატებმა გამოაცხადეს, ვიღაცა უცნობი მაღალ-წარჩინებული პირები ოპოზიციის ფულით შესყიდვას სცდილობდნენო. პირველად ეს არავის არ სჯეროდა, ყველას ეგონა, ალბად, ოპოზიცია განგებ მოიგონებდა ამ ამბავს, უნდა რომ მთავრობას სახელი გაუტეხოსო. მაგრამ დეპუტატ პაპის ნათქვამი მართალი გამოდგა. ეხლა გაიგეს, რომ „მაღალ-წარჩინებული" პირი, რომელსაც დინესისათვის ფული მიეცა სხვა დეპუტატების დასაქრთამად, ფიუმეს გუბერნატორი გრაფ ლადისლავ საფარი ყოფილა. საფარი თითონაც გამოტყდა და სამსახურიდან გადადგა. საფარი მთავრობის წრეებში ტრიალებდა და პირველ მინისტრის კუენ-ჰედერვარის მეგობარია. ამიტომ ყველას ეჭვი ჰქონდა, ალბად, საფარის სახელით თითონ მთავრობა მოქმედებდაო. ასეა თუ ისე, ყველა გაზეთები ამბობენ, რომ ჰედერვარი მეტის-მეტად დიდ გაჭირვებაში ჩავარდა და ობსტრუქციასთან ვეღარას გახდებაო. მთავრობა ეცადა ოპოზიციასთან მორიგებას, მაგრამ ვერას გახდა. ოპოზიცია თხოულობდა, დანიშნულ ვადაზე უნგრეთის ჯარში მუნგრული ენა შემოიღეთო, მაგრამ ჰედერვარი არ დასთანხმდა ამ მოთხოვნილებას. 16 ივლისის სხდომის შემდეგ დაჟინებით ლაპარაკი დაიწყეს, მალე პარლამენტს დაითხოვენო, მაგრამ ეხლა, როცა მთავრობასთან დაახლოვებული პირი დეპუტატთა შესყიდვაში გაერია, პარლამენტის დათხოვნაც ძნელი გასაბედი საქმეა.

**საფრანგეთი.** დეპეშიდან გეცოდინებათ, რომ პარიზში პაპის ლეონ მე-XIII-ეს სულის მოსახსენებლად წირვა გადაიხადეს. პირველი მინისტრი კომბი, საზღვაო მინისტრი პელტანი და კიდევ რამდენიმე მინისტრი არ დაესწრნენ ამ წირვას. ფინანსთა მინისტრი რუვიე, გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასე და სამხედრო მინისტრი ანდრე კი დაესწრნენ. რადიკალურ ფრანგულ გაზეთებს არ მოსწონებიათ რუვიესა, დელკასესა და ნამეტნავად სამხედრო მინისტრის ანდრეს ქცევა ამ საქმეში. „რაპელ"-ი შენიშნავს:

„გენერალ ანდრეს რამდენჯერმე უთქვამს, პოზიტივისტი ვარო, მაგრამ ამ პოზიტივისტის ქცევამ ეხლა სწორედ გაგვაკვირვა".

„რადიკალ"-ი ჩივის, ეხლანდელ მინისტრებს ერთი პირი არა აქვთო; ყოველი მინისტრი ისე იქცევა, როგორც ჰკუა გაუჭრისო.

„ლანტერნ"-იც სასტიკად ჰკიცხავს ანდრესა და იმის თანამოაზრე მინისტრებს. გაზეთი ამბობს: ეხლა მინისტრები ორ ჯგუფად გაიყვნენ; პირველი ჯგუფი პაპის სულის მოსახსენებლად გადახდილ პანაშვიდებს ესწრება, ხოლო მეორე—არ ესწრებაო. ცხადია, მტკიცე პოზიტივისტი გენერალი ანდრეც პირველ ჯგუფს ეკუთვნისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ორორ“-ს სასაცილოდ მიაჩნია ანდრეს ქცევა: „სასაცილო სანახავი იყო პოზიტივისტი ანდრე, როცა საპარადო ფორმით ტაძარში მიდიოდა განსვენებულ პაპის ლეონ მე-XIII-ის სულის მოსახსენებლადაო“.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ნომერში მეორე გვერდის პირველ სვეტში სწერია: ყველა გაფიცვაში სულ 35,912 კაცს მიუღია მონაწილეობა, ე. ი. ამ წესებულებათა მუშების 4⁰/₀. უნდა იყოს: ყველა გაფიცვაში, 53,912 კაცს მიუღია მონაწილეობა, ე. ი. ამ დაწესებულებათა მუშების 40⁰/₀.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ **ჭიათურაში,** როგორც გვატყობინებენ, ეს ერთი კვირაა მუშაობა შეჩერებულია.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ორს ადგილას კიდევ უნახავთ, რომ **ლიანდაგი გაფუჭებული** ყოფილა. ერთი მე-431 ვერსზე. 23 ივლისს, ღამე, საქონლის მატარებელი მიდიოდა. ამ ადგილას გადმოვარდა ლიანდაგიდან ორთქლ-მავალი და ცხრა ვაგონი. მეორედ გზის წახდენა შეამჩნიეს ყარსის შტოს მე-8 ვერსზე. მატარებელი დროზე შეაჩერეს და უბედურება არა მომხდარა.

◆ **ჟანდარმთა შეფსა** და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ფონ-ვალს დაუთვალიერებია ბაქოში ბალახანისა, რამანისა და ბიბი-ეიბათის ნავთის ქარხნები და მოწყობილებანი.

◆ 22 ივლისს, საღამოთი, კავკავის რკინის გზაზე, კიზილ-ბურუნსა და ზარატის სადგურებს შუა, ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი **თავს დასცემიან მკარტელეს კრილოვს.** კრილოვი დაუჭრიათ და წაურთმევიათ აბგა, რომელშიაც ჯამაგირების დასარიგებლად 6000 მან. ჰქონია. დაჭრილი ბალაჯარას წაიყვანეს საავადმყოფოში.

◆ აზრადა აქვთ, როგორც „კავ.“ გადმოგვცემს, უსახელო საზოგადოების ცხენის რკინის გზაზე მოსამსახურეთათვის, უმთავრესად **კონდუქტორებისა და კუჩერებისათვის,** დამხმარებელი კასსა დააარსონ. წესდება შეუმუშავებიათ და გაუგზავნიათ დასამტკიცებლად. ამას გარდა უსახელო საზოგადოება ჰფიქრობს მოაწყოს უფასო მკურნალობა მოსამსახურეთა და იმათ ოჯახებისათვის.

◆ როგორც გავიგეთ, ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების **სკოლების ინსპექტორი** ევტ. მამინაიშვილი შიდა რუსეთში გადაჰყავთ.

◆ როგორც „ნოვ. ვრემია“ გადმოგვცემს, ყარსის ოლქში **ოქროს მდიდარი მადნები** აღმოუჩენიათ. გაზეთისთვის ეს უამბნია ამიერ-კავკასიიდან პეტერბურგში ჩასულ ოქროს მწარმოებელს ი. ს. კაფარენს. ოქრო ყოფილა ყაგიზმანის ოლქში, ოსმალეთის საზღვრის მახლობლად მდინარის ზარაფხან-სუს ხეობაში. უწინ აქ დიდი მადნები ყოფილა და მუშაობა ჰქონიათ. ეხლაც ეტყობა თურმე რამდენისამე ვერსის მანძილზე გათხრილი გვირაბები და გალერეიები. ბ-ნ კაფარენს ოქრო ქვიშაში უნახავს. ამ ადგილების დამუშავების ნება უკვე აუღიათ ხსენებულ კაფარენს, სამთო ინჟ. შოსტაკს, ა. ი. მანთაშევს და სხვას.

◆ წელს პეტერბურგში დაარსდა **საგაზეთო-სატელეგრაფო** სააგენტო, რომელსაც კორესპონდენტები მთელის ქვეყნის 100 უმთავრეს ქალაქში ჰყავს. სააგენტო ჰკრებს ცნობებს სხვა-და-სხვა ფასების შესახებ. გუშინ სააგენტო შეეკითხა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, ხომ არ მოისურვებს იგი ამ ცნობებს. თუ საბჭო თანახმა იქმნება, სააგენტო შეღავათიანის პირობებით გამოუგზავნის დეპეშებს.

◆ „ცერკ. ვესტ.“-ში გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომლითაც **სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწეებს** მეტი უფლებანი და უპირატესობანი ენიჭებათ. სხვათა შორის, ინსპექტორის თანაშემწეებს ნება ეძლევათ იქონიონ გაკვეთილები სემინარიაშივე. ამას გარდა ინსპექტორის თანაშემწეებს საპედაგოგიო საბჭოში ენიჭებათ ხმის უფლება.

◆ „ჩერნ. ვესტ.“ სწერს: „23 ივლისს, დილით, ბათუმის ნავთის ქარხნებში მუშაობა ხელ-ახლა დაიწყეს“.

◆ **ფუნიკულერის გამართვა** მთაწმინდის გორაზე მიანდეს ინჟენერს ბლანშს. მუშაობას ამ ცოტა ხანში შეუდგებიან. როგორც ამბობენ, ერთის წლის შემდეგ ფუნიკულერი მზად იქმნება.

◆ 23 ივლისს, ბაქოში, როგორც იქაური გაზეთები გადმოგვცემენ, **ცეცხლი გაჩნდა** ბიბი-ეიბათის ნავთის კოშკებს. გადამწვარა 10 კოშკი.

◆ ამ ზაფხულს მიწათ-მოქმედების სამინისტრო **სპეციალისტს გაგზავნის კავკასიაში** იმ მწერების შესასწავლად, რომელნიც ბაღეულსა და ბოსტნეულს ვნებენ.

◆ ტფილისის **ქალაქის სამხედრო საკრებულოს** წევრად მარგაევსკის ნაცვლად დაინიშნა მე-7 ნაწილის ბოქაულის თანაშემწე ბ-ნი რატიშვილი.

◆ როგორც „პრავ. ვესტ.“-შია გამოცხადებული, **ქალაქ ზუგდიდს** 1903 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ათის წლის განმავლობაში პოლიციის შესანახი ფული ნაკლები გადახდება, ვიდრე აქამდე ხდებოდა. წელიწადში ზუგდიდმა ამიერიდან უნდა გაიღოს 650 მანეთი.

◆ საშაბუროელ (დუშეთის მაზრა) **გლეხებსა და აზნაურებ შორის ატეხილ შუღლის** გამოსაძიებლად და მოსასპობად, როგორც გავიგეთ, იგზავნება საგუბერნიო გამგეობის საგანგებო საქმეთა მოხელე.

◆ პოლიციის მე-8 ნაწილში ქალაქის ქუჩის მეეზოვეები მეტად ზარმაცად იქცევიან და ბევრი ქუჩა მტვრითა და ნაგვითაა სავსე. პოლიციის მე-8 ნაწილის ბოქაულმა ეს ამბავი შეატყობინა გუშინ ქალაქის გამგეობას და სთხოვა განკარგულება მოახდინოს, რომ ქუჩები რიგიანად იგვებოდეს.

ასევე უპატრონოდ მიტოვებულია ქალაქის სხვა ნაწილებიც. ყველგან მტვერი დგას, ცოტაოდენი ქარია საკმაო, რომ ქუჩაში გავლა შეუძლებელი ხდეს. ეს მეორე დღეა ქალაქში ქარი ქრის, რის გამოც მოურწყველ და დაუსუფთავებელ ქუჩებში მთელი კორიანტელია.

◆ გუშინ ტფილისის მოქალაქემ გართანოვმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, შეიძინონ ავლაბრის სკოლისათვის იმისი შენობა.

◆ 24 ივლისს პოლიციის პირველ ნაწილში, ჯერ გამოურკვეველ მიზეზის გამო, გურგენიძის სახლში, სოფიო ივანიცკის ბინაზე, ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლის გაჩენა მაშინ შეუტყვიათ, როცა ივანიცკის ნივთები სულ ერთიანად გადამწვარა. ივანიცკის ქალაქს გარედ ყოფილა წასული და ბინაზე ერთი მოახლე დაუტოვებია. ამავე ბინაზე ხელ-მეორედ 25 ივლისს გაჩნდა ცეცხლი. სახლი დიდია და ბევრი მდგმურია იქ. ამ მდგმურებს დიდი ზარალი მოუვიდათ ნივთებისა და ავეჯის გამოტანის დროს. პოლიციამ მოახლე დააპატიმრა.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, ბართლამეევის ქუჩაზე ჩამონგრეულა მალინოვსკისა და მატინოვის ორ-სართულიანი სახლი. ეს ამბავი შეატყობინეს გუშინ ქალაქის გამგეობას და სთხოვეს, განკარგულება მოახდინოს, რომ ეს სახლი სულ დაანგრიოს.

◆ ქალაქის დედათა სამკურნალოთი 14 ივლისიდან 23-მდე უსარგებლნია სულ 31 ავადმყოფ ქალს. 11 მორჩენილა და 20 ისევ ავადაა. თავისუფალი ადგილი საავადმყოფოში 35-ია.

◆ გუშინ პოლიციის პირველ ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, გაჰგზავნოს ხუროთმოძღვარი არკადიის ქუჩაზე კიკნაძის სახლის დასათვალიერებლად, რადგან ამ სახლის ერთ ოთახში ჭერი ჩამონგრეულა.

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ ქ. ოდესის ადგილობრივ ოფიციალურ გაზეთში გამოცხადებულია: რადგან ქ. ოდესის ცხენის რკინის გზებზე მოსამსახურეთა გაფიცვა მოხდა და ამ გზებზე მოძრაობა მოისპო, ქ. ოდესის უფროსმა ამ საქმის განსახილველად და გამოსარკვევად დაარსა განსაკუთრებული კომისია, რომლის თავმჯდომარედ თვითონ იქმნება, წევრებად-კი —ქალაქის თავი ზელიონი, ქალაქის გამგეობის წევრები, ქალაქის უფროსის კანცელარიის გამგე, უფროსი საქარხნო ინსპექტორი და ოთხი პოლიცმეისტერი. კომისიამ უნდა განიხილოს ცხენის რკინის გზების მოსამსახურეთა მოთხოვნილება და აღმოაჩინოს საშუალება მათ დასაკმაყოფილებლად. ამასთანავე მოსამსახურეთ გამოუცხადეს ძველის წესით განაგრძონ სამსახური, რათა ცხენის რკინის გზებზე მოძრაობა განახლდეს.

◆ ქ. პეტერბურგში არსდება ავადმყოფ მუშების დამხმარებელი საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს უფასოდ დაურიგოს ავადმყოფ მუშებს წამალი, უშოვოს ადგილი საავადმყოფოებში და ფულითაც შეეწიოს იმათ. საზოგადოებას ეძლევა უფლება დააარსოს საავადმყოფოები მოსიარულე ავადმყოფთათვის ქალაქში და ქალაქის განაპირას. იყოლიოს თავისი ექიმები, რომელთაც გაჰგზავნის ადგილობრივ სამკურნალოს აღმოსაჩენად, უბედური შემთხვევა თუ მოხდა სადმე და მუშები დაშავდა. საზოგადოება მომავალ ზამთარში დაიწყებს მოქმედებას.

◆ ქ. პიატიგორსკში ერთი საშინელი შემთხვევა მომხდარა. ვიღაც ქალი X-ი შეჰყვარებია ორ ყმაწვილ კაცს: ამათგანი ერთი კარგა ხანია, რაც იცნობდა თურმე ამ ქალს, მეორე კი ახალი გაცნობილი იყო, უწვერულვაშო ახალგაზდა კაცი. ძველ ნაცნობს არ მოსწონებია თავის საყვარელ ქალის დაახლოვება ამ ახალგაზდასთან, სასეირნოდ წაუყვანია ქალი მამუკის მთაზე, ოთხჯერ უსროლია მისთვის რევოლვერი და შემდეგ იმავე რევოლვერით თავი მოუკლავს. ქალი მძიმედაა დაჭრილი თურმე.

◆ ქ. პეტერბურგის სამხედრო სამკურნალო აკადემიაში უკვე დასრულებულა არზების მიღება. სულ 500 კაცი ყოფილა აკადემიაში შესვლის მსურველი. არზებს ივლისის დამლევამდის გაარჩევენ.

◆ ქ. პეტერბურგში შუამდგომლობა აღუძრავთ, საქველმოქმედო საზოგადოებების დავმჯდომარეთა კრების მოწვევის შესახებ, რომელსაც აზრად ექმნება პროვინციისა და სატახტო ქალაქების საქველმოქმედო საზოგადოებათა შეთანხმება და საერთო კითხვათა განხილვა. კრება ქ. პეტერბურგში ან ქ. მოსკოვში უნდა მოახდინონ.

◆ ქ. პეტერბურგში მიუყვანიათ ერთი ავადმყოფი გლეხის ქალი, რომელსაც უკვე რვა დღეა, რაც განუწყვეტელად სძინავს. ეს ქალი ობუხოვის საავადმყოფოში დააწვინეს. ექიმები სცდილობენ რამენაირად გააღვიძონ. მძინარე ქალს ხელოვნურად აჭმევენ, პირში ასხამენ რძეს, რომელსაც იგი ოდნავ ყლაპავს.

◆ გაზ. „რუსკ. სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ ქ. ოდესიდან, რომ იქ 18 ივლისს ოფიციალურად გამოცხადებული იყო ქალაქის უფროსის შემდეგი დადგენილება:

რადგან ქალაქის ქუჩებში არეულობა მოხდა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ხალხის ყრილობა და ძალ-მომრეობა, ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ ვალდებული ვიქნები, თუ ხალხი პოლიციის ან ადმინისტრაციის მოთხოვნილებას არ დაემორჩილა, კანონის ძალით, იარაღს მივმართო წესიერების აღსადგენად. განცხადება ქ ოდესის უფროსის გენერალ-გუბერნატორის არსენიევისაგანაა ხელ-მოწერილი.

18 ივლისს ოდესის გაზეთები არ გამოსულა. ძლიერ გაძვირდა ქალაქში სანოვაგე და განსაკუთრებით პური.

◆ სამთო და საქარხნო საქმეთა შესახებ უმთავრესმა საბჭომ გამოსცა შემდეგი სავალდებულო დადგენილება. იმ შემთხვევაში, როცა ტუსაღებს დაუშვებენ ქარხნებში სამუშაოდ, აკრძალული უნდა იყოს მათი მუშაობა თავისუფალ დაქირავებულ მუშებთან ერთად, აგრეთვე თვალ-ყური უნდა ადევნონ, რომ ტუსაღებმა არავითარი დამოკიდებულება არ იქონიონ მუშებთან.

◆ 15 მაისამდე ქ. მოსკოვის უმაღლეს ქალთა კურსების პირველ კურსზე მიუღიათ 331 ქალი. მხოლოდ 19 თავისუფალი ვაკანსიაღა დარჩა. შესვლის მსურველთა რიცხვი კი 200-ზე მეტია.

## ᲞᲠᲔᲡᲡᲐ

„პეტერბურგ. ვედ.“-ის თანამშრომელი ა. ს—ნი ეხება ამ ბოლო დროს სამხრეთ-რუსეთში მომხდარ ამბებს და თავის აზრს გვიზიარებს მათ შესახებ:

> გაზეთები თითქოს როგორღაც შიშითა და მორცხვობით გვიზიარებენ ამბებს სამხრეთ-რუსეთში მომხდარ მუშების გაფიცვათა შესახებაო, ამბობს ბ-ნ ს—ნი, და ამ მხრივ ემსგავსებიან ბებიას, რომელიც ფრთხილად ეკიდება მშობიარე ქალს. ამის მიზეზი იმდენად ცენზურა არ არის, რამდენადაც ჩვენი საკუთარი გამოურკვეველი აზრი, განცვიფრება ცხოვრების ახალ მოვლენის წინაშე. დინჯად რომ მოვეკიდოთ ამ ამბებს, რიგიანად რომ გამოვარკვიოთ საქმის გარემოება, ჩვენი შიში, უეჭველია, ძლიერ შემცირდება. როცა გაზეთები იუწყებიან, რომ ოდესაში ცხენის რკინის გზებზე ისევ დაიწყო მოძრაობა და ბაქოში განიკურნა სნეული ტელეფონიო, საზოგადოებაში ბევრი სხვა-და-სხვა ხმები გაჩნდება ხოლმე, ბევრი ტყუილები ვრცელდება, სიმართლესთან შეთხზული. მაგალითად, ჩვენ ნამდვილ წყაროებიდან ვიცით, რომ ბაქოში გაფიცვამ მშვიდობიანად ჩაიარა და მალე დასრულდა. მხოლოდ ერთი ყაზახი დაშავდა ნასროლი ქვით. ბაქოში მომხდარ ამბის დაწვრილებით შეტყობა კი ძლიერ საინტერესო იქმნებოდა ჩვენთვის, ბევრ შეთხზულ ამბებს გააქარწყლებდა.
>
> თუ გვსურს ვიქონიოთ აყვავებული მრეწველობა, ცეცხლის მფრქვევი და მგრგვინავი ქარხნები, რკინა, ქვა-ნახშირი და მანქანები, წინდაწინვე მზად უნდა ვიყოთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ამ მრეწველობას აუცილებელი შედეგი მოჰყვება — უადგილ-მამულო მუშათა პროლეტარიატის, მუშათა მოძრაობის და გაფიცვის გაჩენა.
>
> გაფიცვა—გაფიცვაა, და სცდებიან ისინი, რომელთაც საშიშარ პოლიტიკურ მოვლენად მიაჩნიათ იგი, მხოლოდ იმიტომ რომ ამ გაფიცვათა საერთო სურათში შესამჩნევია აქა-იქ პოლიტიკურ ხასიათის წინწკლები.
>
> ძველ დროში არ ყოფილა გაფიცვა, მაგრამ იყო ჟამობა, დიდი არეულობანი, მთელი პროვინციები იღუპებოდნენ შიმშილით, იყვნენ ლიახები, ყაზახები—მაგრამ რუსეთს ძირი ვერ ამოუთხარეს იმათ.
>
> მძლავრ, განათლებულ ქვეყანას არ შეჰფერის მიჰმართოს იმ საშუალებათ, რომლითაც ძველად თავის დასაცველად სუსტი, თითქმის ბარბაროსული სახელმწიფო მაჰმართავდა ხოლმე. და ამიტომ არ შეგვიძლია თანაგრძნობით არ მივეგებოთ იმ შემთხვევათ, როცა ადმინისტრაცია გონივრულად, დამშვიდებით მოქმედებდა წესიერების დასაცველად, სასურველია და სასარგებლო, გამოირკვეს ისეთი შემთხვევანი, როცა იგი თავის დანიშნულებას ჯეროვანად არ ასრულებდა.
>
> უნდა აღვნიშნოთ, რომ ბაქოში ადმინისტრაცია კარგად და გონივრულად მოქმედებდა, აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ და ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომელიც საზოგადო მოვლენას წარმოადგენს ყველა გაფიცვაში: სახელდობრ, სხვა-და-სხვა საზოგადო ხასიათის მოთხოვნილებათა გარდა, მუშები დაჟინებით ითხოვდნენ ყოველთვის ქარხნის გამგეობიდან აშა თუ იმ პირის მოშორებას, რომელიც სასურველი არ არის მათთვის.
>
> საქმის გამოძიების შემდეგ ყოველთვის რწმუნდებოდნენ, რომ დასახელებული კაცი ზოგჯერ დიდი ხნის განმავლობაში ისე ბოროტად მოქმედებდა, რომ საკვირველიც იყო, როგორ ითმენდნენ მუშები ამისთანა კაცს.
>
> ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებს, რა ძნელია უბრალო, ღარიბ კაცისათვის სიმართლის მოპოვება. საჭიროა თუ სასტიკად მოვეკიდოთ ქარხნების გამგეობათ, არა ნაკლებ საჭიროა უსასტიკეს დისციპლინას დავუქვემდებაროთ პროვინციელი უთავბოლო პოლიცია.
>
> სხვათა შორის, ბაქოელი მუშები თხოულობდნენ დღეში მხოლოდ ათი საათი გვამუშავეთო, რუსეთის კანონიც ამასვე თხოულობს!

⁂

**გაზ. „რუსკ. ვედ.“-ში შემდეგი საინტერესო წერილია მოთავსებული იმის შესახებ, თუ რამდენი წელიწადი შეიძლება, იცხოვროს ადამიანმა.**

ძველ მწერლებს მოთხრობილი აქვთ, მათ დროს ზოგი ადამიანი რამდენსამე საუკუნეს ცხოვრობდა, მაგალითად 300 წელიწადს. გაზ. „პოლიტიკ“-ს მოჰყავს სხვა და სხვა საბუთები, რომელნიც ამტკიცებენ ძველ მწერალთა ცნობის სიმართლეს. ცნობილი ბუნების მეტყველი ბიუფონი და ფლურენსი იმ აზრისა იყვნენ, რომ ადამიანს საშუალო რიცხვით შეუძლია 115 წელიწადი იცხოვროს. ძველი ბუნების მეტყველ გალლერის აზრით კი—200 წელიწადი.

ვიცით ისეთი შემთხვევა, რომ ერთ კაცს, ქ. ლიუცერნის ბერს 186 წელიწადი უცხოვრია. 185 წელიწადი უცხოვრია ერთ შოტლანდიელ მღვდელს, მადიარელ ეპისკოპოსს სპოდის ბოდას და ორ გლეხს, ერთ ხორვატელს და მეორეს— მადიარს. ლონდონის სამკურნალო ჟურნალმა აღნიშნა ერთი შემთხვევა, როცა ადამიანს 180 წელიწადი უცხოვრია. ექიმი ფრუასონი მოგვითხრობს ცოლ-ქმართა ამბავს, რომელთაგან ქმარს 170 წელიწადი უცხოვრია და ცოლს—164 წელიწადი. ერთი ირკელი მეთევზე მომკვდარა ციებისაგან 169 წლის რომ შექნილა. 100 წლის რომ იყო ეს მეთევზე, იმდენი ღონე ჰქონდა, რომ ცურვით გადიოდა წყალში. ერთხელ ეს მეთევზე სასამართლოში დაუბარებიათ და თან ორი თავისი შვილი მოუყვანია, იმათგან ერთი 102 წლისა იყო, მეორე კი—100. ს. რუსეთის ოფიციალურ სტატისტიკაში აღნიშნულია, რომ ლიფლიანდიაში 1850 წელში 168 წლის მოხუცებული ლიფლიანდიელი ცხოვრობდა, რომელსაც 1709 წელს პოლტავის ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა. ნორვეგელი გლეხი ჰუტინგტონი 160 წლისა მომკვდარა; მისი უფროსი შვილი 108 წლის ყოფილა, უმცროსი კი 9 წლის. 1838 წელს საფრანგეთში ერთი 158 წლის მოხუცებული ქალი მომკვდარა, რომელიც სიცოცხლის დასასრულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო თხის რძით და ყველით იკვებებოდა. თომასი პარი 152 წლის ყოფილა, როცა ინგლისის მეფეს მისი ნახვა მოუსურვებია. სასახლეში მას იმდენი საჭმელები აჭამეს, რომ საცოდავი კუჭის ავადმყოფობისაგან მომკვდარა. ჰარვეიმ გასჭრა მისი გვამი და ამტკიცებდა, უზომოდ რომ არ ეჭამა, კიდევ დიდ-ხანს იცოცხლებდაო. 1897 წ. სამხრეთ-ამერიკაში, ქ. ბუენოს-აირესში ერთი 150 წლის ზანგი ცხოვრობდა. ბევრი შემთხვევაა მოყვანილი, რომ ადამიანს 150 წლიწადს უცხოვრია, 120 წლამდის კი ძლიერ ხშირად.

## კვალელი მეცნიერი ლ. ნ.

„ჩვენის უვიცობით განცვიფრებული“ ლ. ნ. პასუხს გვაძლევს ივნისის „მოამბე“-ში დასმულ კითხვაზე. მოწიწებითა და მორიდებით შევეკითხეთ კვალელ მეცნიერს: „არ შეიძლება ისიც გვამცნოთ ჩვენ, უვიცთ, თქვენ, მეცნიერმა, თუ რომელი მართლ-მორწმუნე თხოულობს „ენერგიულ, უკიდურეს“ ზომების ხმარებას, არა „მშვიდობიან“ მოქმედებას, „კანონიერების“ ნიადაგზე არ დგომას? მანამდე კი ჩვენის უვიცობით გვგონია, რომ მთელი პარტია, თავის პრაქტიკულ მდგომარეობაში, წინააღმდეგია უკიდურეს ზომების ხმარებისა და არა კანონიერ ნიადაგზე მოქმედებისა“.

მკითხველს ვსთხოვთ ყურადღება მიაქციოს ხაზგასმულ ჩვენსავე სიტყვებს. ყოველ მიუდგომელ ადამიანისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ აქ ჩვენ ვლაპარაკობთ პარტიის პრაქტიკულ მოღვაწეობაზე, ბრძოლის საშუალებაზე და არა პარტიის საბოლოო მიზანზე, რომელიც, რასაკვირველია, რევოლიუციონურია, რაკი სოციალისტურია. რომ უფრო ცხადი იყოს ყველასათვის, თუ რაზედ ვლაპარაკობთ, როცა პარტიის მშვიდობიან და კანონიერ მოქმედებას ვეხებით, მოგვყავს ერთხელ კიდევ „მოამბის“ მესამე ნომრის მიმოხილვის შემდეგი ადგილი: „...თეორიით მართლ-მორწმუნენი პრაქტიკულ ცხოვრებაში ნამდვილი ოპორტიუნისტები არიან, ბერნშტაინის ნაწერები მხოლოდ გამოთქმაა უკვე მომხდარ ევოლიუციისა, ბებელიც-კი ნამდვილი ოპორტიუნისტია თავის პრაქტიკულ მოქმედებაში“.

გარდა ბრმისა ან სხვა რამ სენით შეპყრობილ ადამიანისა ვერავინ დაგვწამებს, რომ ჩვენ აქ პარტიის მიზანზე ვლაპარაკობდეთ.

ეხლა მოვიყვანოთ სრულად კვალელ მეცნიერის პასუხი ზემოთ მოყვანილ კითხვისა:

„დიდის სიამოვნებით გამცნევთ ჩვენ—მეცნიერნი, თქვენ—უვიცთ, ოღონდ-კი გულწრფელი სურვილი გამოიჩინეთ ცოდნისა. ენერგიულ უკიდურეს ზომების მიღებას ჰქადაგებს ყოველი „მართლ-მორწმუნე“, ყოველი „მართლ-მორწუნე“ ჰქადაგებს არა „მშვიდობიან“ მოქმედებას, კანონიერების ნიადაგზე არ დგომას, არა-კანონიერი მოქმედება, ენერგიული ზომები არის ალფა და ომეგა მართლ-მორწმუნეთა მოძღვრებისა. ვიცი, ავტორი დამტკიცებას მოგვთხოვს, მაშ მეტი გზა არ არის, დავუმტკიცოთ ეს ანბანური ჭეშმარიტება. აი თვით მარქსის სიტყვები: „...ჩვენ განვიხილეთ ცოტათ თუ ბევრად დაფარული მოქალაქებრივი ომი... იმ პუნქტამდის, როდესაც ეს ომი ცხად რევოლიუციათ გადაიქცევა და ბურჟუაზიის ძალათ ჩამოგდებით საძირკველს დაუდებს პროლეტარიატის ბრძანებლობას“. სწორედ ამ აზრს ქადაგებენ მართლ-მორწმუნეები ხალხში და თუ ამისთანა აზრის ქადაგებას მიმოხილვის ავტორი კანონიერებას დაარქმევს, მაშინ უკანონობა რაღა ყოფილა?... იქნება მიმოხილვის ავტორმა ისიც გვითხრას, მარქსი კი ჰქადაგობდა მაგას, მაგრამ არც ერთი მართლ-მორწმუნე არ ჰქადაგობსო. არც კი გაგვიკვირდება და დავუსახელებთ კაუცკის ცნობილ წიგნს, რომლითაც ყოველი მართლ-მორწმუნე ხელმძღვანელობს“.

ახლა გავსინჯოთ რა პასუხია კვალელ მეცნიერის პასუხი. არატორს თუ რომელიმე მართლ-მორწმუნეს ნაწერში სიტყვა „რევოლიუცია“ შეხვდა, მას ჰგონია, რომ იგი რევოლიუციონურ საშუალებათა ხმარებას თხოულობს.

რას ნიშნავს მარქსის მოყვანილი სიტყვები? საზოგადოების ევოლიუციის, განვითარების რომელ ხანას ეხებიან ისინი? ეს კითხვა რომ მიეცა თავის თავისათვის მეცნიერ ლ. ნ.—ს, შერცხვებოდა ხსენებულ სიტყვების ჩვენ წინააღმდეგ მოყვანა, რადგან მარქსს აქ სახეში აქვს ბოლო, ეგრე ვსთქვათ, „დამსკვნელი“ აქტი დიალექტიურ განვითარებისა, ის აქტი, რომელიც, ენგელსის სიტყვით, არის „კაცობრიობის ნახტომი აუცილებლობის ქვეყნიდან თავისუფლების ქვეყანაში“. და განა ჩვენ ამ ბოლო აქტზე, ამ „ნახტომზე“ ვლაპარაკობდით ჩვენს მიმოხილვაში?

ნუ თუ თქვენი მეცნიერება მოითხოვს, ბ. ლ. ნ., რომ ასეთი ხერხი იხმაროთ ფონის გასასვლელად?

კიდევ უარესი ხერხია კაუცკის წიგნის ხსენება, რადგან მთელი წიგნი სულ სხვას გვეუბნება და არა იმას, რაც ლ. ნ.—ს ჰგონია. ალბად, ესეც საგნის ღრმად ცოდნის შედეგია!

მოვიყვანოთ კაუცკის წიგნიდან რამდენსამე ადგილს, რაც ყველასთვის ცხად ჰყოფს ლ. ნ.—ს მეცნიერებას.

კაუცკი, რასაკვირველია, ღრმად დარწმუნებულია, რომ „ნახტომი“ აუცილებლად მოხდება, მაგრამ თანაც ამბობს—„არავის შეუძლია გადაწყვეტით სთქვას, როდის და რაგვარად მოხდება იგი (p. 110)“. მიზნის მისაღწევ გზას კი გვიჩვენებს და ეს არის ეხლა ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო.

სახელმწიფოს ეკონომიური ძალა და ძლიერება დღითი-დღე იზრდება; უკვე დღევანდელ საზოგადოებაში სახელმწიფოს დანიშნულებად გახდა ჩაერიოს ეკონომიურ ცხოვრებაში როგორც წეს-რიგის ჩამომგდები ძალა და მისი საშუალებანიც ასეთ მიზნის მისაღწევად უფრო და უფრო ძლიერი ხდებიან. „სახელმწიფოს ეკონომიური ყოვლის შემძლებლობა, რომელიც მანჩესტერის სკოლის ხალხს სოციალისტურ უტოპიად მიაჩნია, მათ თვალწინ ვითარდება, როგორც აუცილებელი შედეგი კაპიტალისტურ წარმოებისა. თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიური მოქმედება არის დასაწყისი ამ განვითარებისა, რომელსაც სოციალისტურ საზოგადოებისაკენ (Genossenschaft) მივყავართ (pp. 128—129)“.

მაგრამ თანამედროვე სახელმწიფო გაბატონებულ კლასების ხელშია და ამიტომ ხსენებულ მიზნის მიღწევა სავსებით მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა სახელმწიფო მუშების ხელში გადავა. ამიტომაც პარტიას სურს, რომ მუშა ხალხმა ხელში იგდოს პოლიტიკური ძალაო. პროგრამაში პირდაპირ არის შეტანილი შემდეგი მუხლი: „მუშა ხალხის ბრძოლა კაპიტალისტების ექსპლოატაციის წინააღმდეგ ძალა-უნებურად პოლიტიკური ბრძოლაა. მუშა ხალხი ვერ შესძლებს ეკონომიურ ბრძოლას და თავის ეკონომიურ ორგანიზაციის განვითარებას, თუ იგი მოკლებულია პოლიტიკურ უფლებას; მას არ შეუძლია მოახერხოს საწარმოო ძალთა გადასვლა საზოგადოების ხელში, თუ პოლიტიკური მეუფება არ იგდო ხელში“.

როგორ არის შესაძლებელი ამ უკანასკნელ მიზნის მიღწევა?

თანამედროვე სახელმწიფოში, ამბობს კაუცკი (p. 220) მხოლოდ ერთის საშუალებით არის შესაძლებელი სახელმწიფო მართვა-გამგეობაზე გავლენის შეძენა; ეს საშუალება არის ხალხისაგან არჩეული პარლამენტი.

იქ, სადაც პროლეტარიატი, როგორც შეგნებული კლასი, იბრძვის პარლამენტისათვის და პარლამენტში მონაწილეობას იღებს, პარლამენტარისმის წინანდელი არსება იცვლება: იგი აღარ არის მხოლოდ ბურჟუაზიის ბატონობის საშუალება. სწორედ ეს ბრძოლა (პარლამენტისათვის და პარლამენტში) უძლიერესი საშუალებაა პროლეტარიატის შეუგნებელ ნაწილის გასაღვიძებლად, მუშების გასაერთიანებლად და სახელმწიფო მართვა-გამგეობაზე გავლენის შესაძენად მუშების სასარგებლოდ. „მოკლედ რომ ვსთქვათ, ეს ბრძოლა არის უძლიერესი ბერკეტი (Hebel) პროლეტარიატის ეკონომიურ, საზოგადოებრივ და ზნეობრივ დამცირებისაგან აღსადგენად (p. 225)“.

ამიტომაც არის, რომ პარტია ფრთხილ დარაჯად უდგას საყოველთაო საარჩევანო უფლებასა და პარლამენტარისმს; და ეს სიფრთხილე მარტო იმით კი არ გამოიხატება, რომ რეაქციონერებს კრიჭაში უდგიან, არამედ იმითაც, რომ თავის პრაქტიკულ მოქმედებაში მუდამ კანონიერებისა და მშვიდობიანობის გზას ადგიან, რათა ხელსაყრელი საბაბი არ მისცენ ხელში რეაქციას (რასაკვირველია, ოსმალეთში ასეთი მოქმედება შეუძლებელია, მაგრამ მიმოხილვაში ჩვენ გერმანიაზე გვქონდა ლაპარაკი).

პროფესორი ზომბარტი ასე ახასიათებს გერმანულ სოციალურ მოძრაობას: გერმანიაში სოციალურმა მოძრაობამ გვიან იჩინა თავი და ამ დაგვიანებამ გერმანელი მუშა რევოლიუციონურ გზას ააშორა; საყოველთაო საარჩევნო კანონმა კი მუშათა პარტია პარლამენტალურ კალაპოტში ჩააყენა. ლ. ნ.—ს რომ ვკითხოთ, „არა კანონიერი მოქმედება, ენერგიული ზომები არის ალფა და ომეგა მართლ-მორწმუნეთა მოძღვრებისა“, და ასეთი შეხედულება მას ანბანურ ჭეშმარიტებად მიაჩნია!

თავისუფალი პრესსა, თავისუფალი სინიდისი და აზროვნება, საარჩევანო აგიტაცია, პარლამენტი სრულიად კანონიერი მოვლენაა დასავლეთ ევროპაში და ამ საშუალებათა მოხმარება ვერ ჩაითვლება რევოლიუციონერობად.

ბებელის „ოპორტიუნისტობა“-ზე ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია, რადგან იგი საკმაოდ გამორკვეულია: მილიტარისმის შეურიგებელი მტერი თანახმა უხდება მინისტრს, რომ ახალი იარაღი შემოიღონ გერმანიის ჯარისათვის; რასაკვირველია, როცა ბებელი ამას სჩადიოდა, ყოვლად პატივსადები მიზეზები ჰქონდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ასეთი ქცევა არის ისეთი დათმობა, რომელსაც ოპორტიუნისმს ეძახიან. და აკი მისმავე თანამოაზრეებმა უსაყვედურეს კიდეც.

ნეტავ რომელ ახალ ანბანურ ჭეშმარიტებას გვამცნევს მეცნიერი ლ. ნ. ჩვენ უვიცთ?

№

## წერილი ხონიდან

ხონის სკოლები.—ინტელიგენცია.

ხონისათვის ბევრი ქება-დიდება შეუსხამთ გაზეთებში. ერთმა კორესპონდენტმა, სხვათა შორის, ხონს მეორე „ამერიკაც“ უწოდა. ნამდვილად კი ხონში არა ჩვეულებრივი, ისეთი, რაც სხვაგან არ იყოს, არაფერია. ეს არის მხოლოდ, რომ ხონელებს ათიოდე სკოლა მოეპოვებათ, სადაც გარდა ორისა, განდევნილია სამშობლო ენა. სკოლებში ხშირად განცხადებასაც აკრავენ, რომელზედაც ქართველი პედაგოგი აწერს: „ქართველებს სასტიკად აეკრძალებათ ქართულად ლაპარაკით. გიმეორებთ, ჩვენის სკოლებიდან სამშობლო ენა განდევნილია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ გაკვეთილს კვირაში, რომელიც საკმარისიც კი არ არის. ამ გაკვეთილებზე ქართულ ენას არა სწავლობენ, ეგზამენებს ვერ იჭერენ, მაგრამ ყურადღებას მაინც არავინ აქცევს. ზოგი ქართველი თვით მიდის სკოლაში და უცხადებს უფროსებს: „დაგვიხსენით ქართულ გაკვეთილებისაგან, ეს მეტი ბარგია ჩვენთვისაო!“

ხონს უხვად ჰყავს ინტელიგენტი, მაგრამ საზოგადო საქმისათვის არავინა არასა ჰფიქრობს. ინტელიგენციის ერთ ნაწილს იდეალად გაუხდია ბანქოს თამაში, მეორეს-ლოთობა, მესამეს-არშიყობა. თუ ვინმე რამე საზოგადო საქმეს გააკეთებს, იმიც ასტყდება ხოლმე ინტელიგენტთა შორის. ერთი გაიძახის: „ამ საქმის დაწყების სურვილი პირველად მე დამებადა თავშიო!“. „უკაცრავად!“, ეუბნება მეორე: „შენ კი არა, მე დამებადაო!“. სხვები სხვას გაიძახიან კიდევ.

ილია ბახტაძე

## დაბა-სოფლები

**ს. ბორჩხა** (ართვინი). 22 ივლისს, როგორც მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, სადამოს ექვს საათზედ, ბათუმიდან ართვინს მიმავალ ფოსტას დაეცა რვა შეიარაღებული ავაზაკი. მოჰკლეს ფოსტის წინ მიმავალი ჩაფარი. რა ნახა ეს ფოსტის მოხელემ, გადმოხტა ეტლიდან და დაუწყო რევოლვერით ავაზაკებს სროლა, მაგრამ ამ დროს იგრიალეს თოფებმა და ფოსტის მოხელესაც იქვე სული გაანთხევინეს. შემდეგ სიკვდილოდ დასჭრეს ფოსტის უკან მიმდევი ჩაფარი, ხოლო მეეტლე იქვე ახლო ბუჩქებში მიიმალა. ამის შემდეგ ავაზაკები მისცვივდნენ ფოსტას და მაშინვე ფულიან ტყავის პარკს მიაგნეს, სადაც 15,700 მანეთი ნაღდი ფული იყო, და მოიტაცეს... ბორჩხის ფოსტის უფროსმა ამავ წამს ბათუმში აცნობა, საიდანაც საჩქაროდ მოვიდნენ სამხედრო გუბერნატორი დრიაგინი, ოლქის უფროსი ბ-ნი სლავოჩინსკი, პროკურორი და ბათუმის ფოსტის უფროსი ჩიჟიკი. აქ იმათ დაჰხვდათ შემდეგი სურათი: ფოსტის ცხენები გვერდზედ მიბრუნებულიყვნენ, ფოსტალიონი და ჩაფარი დახოცილები ეყარნენ; იმათი იარაღი წაეღოთ ავაზაკებს; მეეტლე ამბობდა: „მე მახრჩობდნენ, ვეითხარი, ფულები სად არისო“. ნივთები სულ მთლად აწეწილ-დაწეწილი ეყარა. სასტიკი ზომებია მიღებული ავაზაკთა დასაჭერად... მოკლული ფოსტის მოხელე იყო კახელი, სოფ. შაშიანის მცხოვრები დავით გოგოლაშვილი, რომელიც ის იყო ჩარიცხეს ფოსტალიონად ართვინში და პირველად მიჰქონდა ფოსტა. თვეში ოცი მანეთი ჯამაგირი დაენიშნა.

ფოსტის მოხელე.

**ხონი** (იმერეთი). წრევანდელსავით მიყრუებული ხონი არასოდეს არ ყოფილა. არავითარი გასართობი აქ არ არსებობს. წარმოდგენები ხომ ძლიერ იშვიათია. ერთი სიტყვით, მთელი ზაფხული ხონი მიძინებულია. წინა წლებში ხონს ზაფხულობით მეტი სიცოცხლე ეტყობოდა, ვიდრე ეხლა, მაგრამ საქმე ის არის, რომ მაშინ ხონის ჰაერი და ნამეტურ წყალი ნაქები იყო და ქალაქებიდან არა მარტო აქაური მკვიდრნი, სხვებიც ჩამოდიოდნენ ზაფხულობით. მაგრამ ეხლა, რაც ხონში ცხენის-წყლიდან არხი გამოიყვანეს, ჰაერიც და წყალიც შესამჩნევად გაფუჭდა, და ამიტომ არა თუ სხვები მოდიან აქ საზაფხულოდ, თვით ჩვენები სტოვებენ ხონს და სხვა ადგილებში მიდიან სააგარაკოდ, რის გამო ამ ჟამად აქ დიდი მოწყენილობაა. ამ საერთო მოწყენილობას ვერა გრძნობს ერთი პატარა ჯგუფი ინტელიგენტებისა, რომელსაც სათავეში უდგას ორიოდე სტუდენტი.

ამას წინად ხონში ერთმა სტუდენტმა ჯვარი დაიწერა და, რასაკვირველია, ეს პატარა ჯგუფი არ დარჩებოდა „დაუპატიჟებელი“. აქ ამათ თურმე ისე გაუტკბათ ლხინი, რომ ერთმანეთში გაფიცულან: რადგან ქეიფი კარგი ყოფილა, ამისათვის განვაგრძოთ მთელ ზაფხულსაო. დღეს შენსას, ხვალ იმასას, ზეგ კიდევ ჩემსას და ასე და ამნაირად ორ-ორჯერ რომ გადავიხადოთ თითოეულმა ჩვენგანმა ლხინი, მეტი არც ეს ზაფხული იქნებაო! გაფიცვა და საქმის სისრულეში მოყვანა ერთი იყო. იმ დღიდან დაწყებული ყოველ დღე ქეიფობენ, ხშირად დღეში ორჯერაც. როცა ბახუსს კარგად თაყვანს სცემენ, ჩაჯდებიან ეტლში და მაშინ უნდა უყუროთ იმათ ვიჟინს ქუჩებში. მეეტლეებისა და მეარღნეების საქმე რომ კარგად მიდის, ამაში ეჭვი არ არის! ეხლა ამან თავი მოაბეზრა ხონელებს. ეს ყმაწვილები არა თუ თვითონ აკეთებენ რასმეს, სხვასაც უშლიან. 20 ივლისს დიდის ვაივაგლახით გამართულ წარმოდგენაზედ არშიყობით და დაზღანდარობით ხალხს უშლიდნენ პიესის რიგიანად მოსმენას. ზოგიერთმა თეატრშივე მიიღო შენიშვნა, მაგრამ რას ჰნიშნავს შენიშვნა შექეიფებულთათვის?!

არ გეგონოს, მკითხველო, აქ რამე მოგონილი, შეთხზული იყოს. სულ ნამდვილი ამბებია. მიდი, მკითხველო, და ამის შემდეგ გაგიკვირდეს „სიტყვისა“ ან „ოდესელ სტუდენტის“ საყვედური ზოგიერთ სტუდენტობის ცუდ საქციელზე!

აქაური

**სოფ. მეჯვრისხევი** (ქართლი). როგორც მკითხველს მოეხსენება, მეჯვრისხევის სამკითხველომ ჩაილურის წყალი დალია, „მიზეზთა გამო სხვისა და სხვისა“ თავი ვერ დაიჭირა. თუმცა ეს საქმე სათუთი იყო, მოსავლელი, მაგრამ რას იზამთ, საწუთროსა ჭირი და ლხინი უხსნია, უთქვამს ბრძენსა.

აქ საკვირველი კიდევ ის არის, რომ ამ სამკითხველოს სანაცვლო არა გვაბადია-რა. წარმოიდგინეთ, ერთი წარმოდგენა რა არის, ისიც ვერ მოუხერხებია ამოდენა სოფელში, სადაც, განსაკუთრებით ზაფხულობით, დიდ-ძალი ახალგაზრდობა იყრის თავს. სხვა რამ ჭკუა-გონების გამაბრწყინვებელი, გულის საამო ხომ სიზმრადაც არ მოეჩვენება მეჯვრისხეველს და ამისთვის ყველა თავის თავს არის მინაბრებული და, თანხმად ჟინისა და ნებისა, ატარებს თავის დღეთა ამა საწუთროში.

როგორც მოგეხსენებათ, კაცთა ბუნება მოძრავია, სიცალიერე არ უყვარს და, რასაკვირველია, როგორმე უნდა „მოჰკლას დრო“. აქ მხოლოდ გემოვნებაზედ არის დამოკიდებული შენი საქმე—დროს შთანთქმა. ვსთქვათ, მიდრეკილება გაქვს სასმლისადმი, შენც ქეიფობ, გულის ჭირსა ჰკლავ და ამნაირად დროს ღვინოში ახრჩობ; ბუნებით ანუ აღზრდით მგზნებარე მოყვარე ხარ ბუნებას რომელისამე საზოგადოებისათვის—შენც დიდსულად ასრულებ შენს მოწოდებას—ოცნებობ და სიამოვნებ; ამნაირად დროს კბენით ჰკვთავ;

გრძნობათა ატროფია დაემართოსა—შენც ემონები შენზედ ეგვარიანს, ამნაირად ორ საზამთროს იჭერ ხელში—სიმდაბლით სიმაღლეს იძენ და ტკბილად, წარბ-შეუხრელად ატარებ შენ სანეტარო დღეებს.

თუმცა ჩვენის, დაბიურის შეხედულობით ესე ვითარი და მსგავსი დროს შთანთქმა მეჯვრისხეველთა საძრახისათ მიგვაჩნია, მაგრამ, წარმოიდგინეთ, თურმე გამოჩენილი ლომბროზო მომხრე ყოფილა მსგავს პირთა. მათ ეს შეშვენისო, გვამცნობს ეს ფილოსოფოსი. მგბენარი რის მგბენარია, თუ პირს მოკიკეცნისო და სხვა.

რადგან ყველა ფილოსოფიურს თეორიას მოწინააღმდეგენი ჰყვანან, ლომბროზოს აზრიც შეარყევს მეჯვრისხევის მოლექსეთ, თითქოს მასის ჯიბრით უფრო ელფერიანი შაირ-ლექსით ჰგმობენ საგმობელს. ხომ მოგეხსენებათ პოეტის ბუნება, იგი ყველგან და ყოველთვის თავისებურია. არ დაგეფერებათ მღვდელი ხარ თუ ერის კაცი და აუცილებლივ შაირს გამოგითქვამთ და დაგგმობთ, თუ კი რამე საგმობელი, არა კაცური ნახა რამ შენში. მართალია, იგი მოლექსენი ბუნების შვილნი არიან, გაუნათლებელნი, უსწავლელნი, მაგრამ თვალის იერი გასაოცარი აქვთ და ჩინებულადაც არჩევენ, რომელ საიდუმლოს ქვეშ რა წმინდანია ამოფარებული, რისაც უნდა იყოს იგი სადღეღ—ალდასისა თუ ფაიისა. ამისთვის საკვირველი ის არის, რომ ამა მოშაირეთა ლექსები ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტად მიაჩნიათ დღეს მეჯვრისხეველთ.

დავუბრუნდეთ კვლავ სამკითხველოს ვითარებას. დღეს აქ მითქმა-მოთქმაა მისის აღდგენისთვის. გულ-შემატკივარნი კვლავ გამოჩნდნენ და მოახერხეს მეჯვრისხევის წარმომადგენელთა კრება. 20 ივლისს მოხდა ეს კრება და გადასწყვიტეს სამკითხველოს აღდგენა, შეადგინეს ოქმი, ამოირჩიეს სათანადო პირნი და მოკლე დროში წარუდგენენ მთავრობას დასამტკიცებლად. როგორც კერძოდ მოხსენდა კრებას, სამკითხველოს 500 წიგნამდის ჰქონია, დღეს კი მეხუთედიც აღარ მოიპოვება, ისიც უვარგისი, გამოუსადეგარი. საკვირველი ის იყო ამ კრებაზედ, რომ უწინდელმა გამგემ კრინტი არ დასძრა იმაზედ, თუ რად მოხდა ის, რასაც დღეს ჩვენა ვხედავთ, არ მისცა ანგარიში საზოგადოებას იმისი, რასაც გაზეთით ჰპირდებოდნენ. ამას კვლავ ზეწარი აქვს გადაფარებული და მეჯვრისხევის საზოგადოება ეჭვში უნებლიეთ შესული. დიახ, დღეს ასეა საქმე და არ ვიცით, მომავალი რას მოგვიტანს. მხნეობა, საქმის სიყვარული ყოველთვის დიდის გამტანი. ვუსურვებთ ჩვენც ახალ ამორჩეულ პირთ გულ-მხურვალებას დაწყებულს საქმეში.

Séant.

—

**აბაშა** (სამეგრელო). ოცდა რვა ივნისს აბაშის და მის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი გამოეთხოვნენ აქაურ ექიმს. ბ. ხუსკივაძეს, რომელიც გადაიყვანეს ჯიხაიშში. გაუმართეს გამოსათხოვარი სადილიც. გადაიყვანეს ექიმი, მაგრამ იმის მაგიერი-კი ჯერ-ჯერობით არავინ არ მოსულა. ერთი თვეა თითქმის, რაც ექიმი გადაიყვანეს, მაგრამ ამ მოკლე ხანში ხალხი დიდს გაჭირვებაში ჩავარდა. ახლა აბაშაში მარტო ერთი ფერშალია და, თუ ექიმმა კიდევ დაიგვიანა, შენი მტერია, გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდებიან ჩვენში ავადმყოფნი და უექიმოდ და უწამლოდ დასტოვებენ წუთი სოფელს.

ჩვენში ქურდ-ბაცაცებს კიდევ ვერ მოუღო ბოლო. სამი-ოთხი დღე ისე ვერ გაივლის, რომ რამე არ შეიტყო ამ ქურდ-ბაცაცობაზე. იპარავენ ტანისამოს, წვრილ ნივთებს, ავეჯს და სხვას.

კარგა ხანია, რაც აბაშაში წარმოდგენა არ გამართულა. ორი წლის წინად თითქმის ყოველ თვე იმართებოდა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენა. ახლა-კი არამც თუ ყოველ თვე, ორი წელიწადი ისე გადის, რომ წარმოდგენა არა ყოფილა.

საითაც გავიქეცი—იქით წავიქეციო, ნათქვამია. სწორედ ასეა ჩვენი საქმე ამ ხუთის დღის განმავლობაში: საითკენაც გაიარე, დაფა-ზურნის ხმა და მოქეიფე ყმაწვილების ყვირილი მოესმის. დღეს კი დაფა-ზურნის ხმა აღარ გაისმის. როგორც შევიტყე, სადღაც წაუყვანიათ და მართალი გითხრათ, ძალიან გავიხარე; როგორც მე, ისე თითქმის ყველას, რადგან იმის უხეირო და მუდმივმა წრიპინმა ჭკუა გამოგვილია.

აბაშაში არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, სამრევლო საეკლესიო საქალებო სკოლა და ერთ კლასიანი საქალებო სამინისტრო სკოლა, რომელიც წრეულს ადგილობრივ სამინისტრო სკოლის მასწავლებლების მეცადინეობით ორ კლასიანად გადააკეთეს.

როგორც აბაშის ვაჭრები, ისე იმის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი აგვისტოს პირველ რიცხვიდან შეუდგებიან დიდს სამზადისს და ფაცა-ფუცს ეგრედ წოდებულ „ენკენობისთვის“. ეს მომავალი იარმუკა დაიწყება პირველ სექტემბრიდან და გაგრძელდება რვა სექტემბრამდე. ამ დროს დაბას აუარებელი ხალხი აწყდება არა მარტო სამეგრელოდან, გურია-იმერეთიდანაც.

გვათანელი ნესტორი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 24 ივლისი

**პეტერბურგი.** კრასნოე სელოში ოფიცრების ცხენების დოღი გაიმართა და სამხედრო სასწავლებელთა აღლუმი მოხდა ხელმწიფე იმპერატორის, ხელმწიფე-დედოფლისა და დიდის მთავრებისა და დიდის მთავრების მეუღლეთა და ასულთა თანადასწრებით. ხელმწიფე-იმპერატორმა და ხელმწიფე-დედოფალმა კრასნოე სელოს სამხედრო სამკურნალო დაათვალიერეს.

**ბერლინი.** „ფრანკ ფურტერ ცაიტუნგ“-ს სწერენ სტამბოლიდან: თუმცა მთავრობა ოფიციალურად უარჰყოფს, მაინც ბევრის სანდო კაცისაგან ცნობა მოვიდა, რომ მაკედონიაში მეამბოხეთა მოძრაობა ისევ გაძლიერდაო. პორტამ სახელმწიფოებს ნოტით მიჰმართა, მაკედონიის ეხლანდელი მდგომარეობა გაიცანით და გაიხსენით, რაც კი შეიძლო, ყველაფერი გავარიგე, თუმცა ბევრი დაბრკოლებაც აღმომიჩნდაო. პორტა აცხადებს, ამას იქითაც ამნაირად მოვიქცევი, მაგრამ საქმის მდგომარეობა მაინც საშიშია,—იმავ გაზეთს სწერენ სოფიიდან, ყველა ცნობები ერთხმად ჰმოწმობენ, რომ მაკედონიაში აჯანყება ხელ-ახლად იწყებაო.

**ბელგრადი.** რუმინიის ელჩმა მავროკორდატომ მეფე პეტრეს აუდიენციის დროს ახალი რწმუნების წერილები ჩააბარა. ამ ამბის დროს მეტად გულ-წრფელი სიტყვები წარმოსთქვეს.

**პარიზი.** აქაური გაზეთი იუწყებიან, სტამბოლიდან ამბავი მოვიდა, რომ საფრანგეთის ელჩმა პორტას განმარტება მოსთხოვა იმის გამო, რომ ოსმალეთის ბაჟმა თაზისი დაუჭირა; ეს თაზისი საფრანგეთის გემლენის ქვეშაა და ტრიპოლისს იქით მდებარეობს. ოსმალეთის მთავრობას უპასუხნია, რომ მაგ საქმეზე არა გაეგოგია-რა; პორტას არავითარი განკარგულება არ მოუხდენია, რომ ხსენებული თაზისი დაეჭირათო.

**ლონდონი.** ხანგრძლივ კამათის შემდეგ დეპუტატთა პალატამ მიიღო ბილი ბრიუსელის საშაქრო კონვენციაზე.—„სტანდარდ“-ს ატყობინებენ ნიუ-იორკიდან, ოფიციალურ წრეებში ლაპარაკობენ, ვითომ რუსეთს განზრახვა ჰქონდეს, 1904 წელს ამერიკის ესკადრა კრონშტადში მიიწვიოს.

**რომი.** საბოლოოდ გადასწყვიტეს, რომ პაპის გვირგვინის კურთხევა კვირას, 27 ივლისს მოხდება.

**რომი.** გაზეთები იუწყებიან, ცანარდელიმ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა პრეფექტსაო: „ახლად არჩეულმა პაპმა თავის არჩევის ამბავი არ შეგვატყობინა. გაცნობებთ, რომ მთავრობის მოხელეთ არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიიღონ იმ საეკლესიო დღესასწაულში, რომელიც ამ არჩევნის გამო მოხდება“. „ტრიბუნა“ და „იტალია“ იწონებენ მთავრობის ქცევას.

**ბრიუსელი.** გაზეთ „სუარ“-ს ცნობას, ვითომ ფლანდრიის გრაფი ავად იყოს, გადაჭრით უარ-ჰყოფენ.

**სტოკჰოლმი.** მომავალ გაზაფხულზე შვეციის სამეცნიერო ექსპედიცია წინარ ოკეანეს ჩრდილოეთ ნაწილში წავა.

**ბერლინი.** გაზეთ „იგან დეილი ჰერალდ“-ში დაბეჭდილი ცნობა, ვითომ რუსეთი და იაპონია შორეულ აღმოსავლეთის საქმეებზე შეთანხმებულიყვნენ და მორიგების შინაარსი 5 მუხლს შეიცავდეს,—მოგონილია. თვით ეს დოკუმენტიც ნამდვილად შეთხზულია და შიგ ერთი მართალი სიტყვა არ ურევია.

**ეკატერინოსლავი.** წარსულ ნახევარ წელიწადში ადგილობრივ სამთო ოლქში მარტო 45 რკინის მადანში იყო მუშაობა. 69 მილიონი ფუთი მადანი ამოუღიათ.

### 25 ივლისი.

**ზლატოუსტი.** მოვიდა გუბერნატორი სოკოლოვსკი, გაეცნო ქალაქისა და საერობო დაწესებულებათ, დაიარა ყველა ცეხები სახელმწიფო სამთო ზავოდებისა, გამოჰკითხა მუშებს რამდენად უზრუნველ-ყოფილნი არიან და რა გჭირდებათ.

**რომი.** პაპმა სადიპლომატო კორპუსი მიიღო. პორტუგალიის ელჩმა ფრანგულ ენაზე მოკლე სიტყვით მიჰმართა; პაპმა იტალიანურ ენაზე უპასუხა, მადლობა გადაუხადა კეთილ სურვილისათვის და დასძინა, რომ ეს მოლოცვა პირადად მე კი არა, იმ უმაღლეს ხარისხს შეეხება, რომელიც მე მიჭირავს, ვითარცა ეკლესიის მეთაურს; ამასთანავე ყოველივე კეთილი უსურვა მეფეთა და ხალხის მეთაურთ და დასძინა, რომ ეკლესია ნავთსაყუდელია მეფეთა და მთავრობათათვის. დასასრულ პაპმა შენიშნა, ეკლესიას ჰსურს მუდამ შეურყევლად იქმნეს საერთო მშვიდობიანობისა და კეთილ დღეობის დასაცველადაო.

**კონსტანტინოპოლი.** თუმცა აქაურმა საელჩოებმა და პორტამ შემძრწუნებელი ცნობები მიიღეს მაკედონიის კომიტეტების მოქმედების გაძლიერების შესახებ, მაინც საზოგადო აზრი ისაა, თუ ბოლგარია მხარს არ დაუჭერს, ბანდების მხრივ დიდს ამბოხებას არ უნდა მოველოდეთო, რადგანაც მაკედონიის შინაური ორგანიზაცია ამ ბოლო დროს ძალიან შესუსტდა. თევფიკ-ფაშამ ელჩებს აცნობა, რა ზომებს მიიღებს პორტა ბანდების მოქმედების წინააღმდეგ და რა ზომებია უკვე მიღებული. ოსმალეთის ცნობები ბანდების უწესოების შესახებ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებმა აღლუმების დროს შეჰკრიბეს, ამისათვის, ეტყობა, გაზვიადებულია. როგორც ყველა ცნობებიდან გამოირკვა, თუმცა უწესოებები ხდება, მაგრამ ძალიან არა ვრცელდება და კერძო ოლქებს არა სცილდება. 8 ბატალიონი მარშალ ომერ მუშდი-ფაშის წინამძღოლობით ვერისოვიჩიდან დაუყოვნებლივ მონასტირისკენ მიდის.

სულთანის ირადეთი ნაბძანებია, რომ იმ მატარებლს, რომლითაც ჯარი მიდის ხოლმე, წინ ცალკე ლოკომოტივი მიუძღოდეს და ძალიან ფრთხილობდეს, რომ მეამბოხეებმა მატარებელს არაფერი დაუშავონ.

საბერძნეთის ელჩმა გარეშე საქმეთა მინისტრს გამოუცხადა, მონასტირის ვილაეტში მომხდარ ბანდების უწესოებამ ბევრს საბერძნეთის ქვეშევრდომებს დიდი ზარალი მისცა და ბევრიც სიცოცხლეს გამოასალმაო.

**რომი.** ლიტვის დრაგუნთა პოლკის დეპუტაცია პანთეონში წავიდა და მეფე ჰუმბერტის საფლავს ვერცხლის გვირგვინი დაადო შემდეგის წარწერით: „მეფე-წამებულს, მის უავგუსტოეს შვილის რუსი-დრაგუნები, საუკუნო სახსენებლად“.

**ბელგრადი.** ალბანელების ბრბო ორჯელ გადავიდა სერბიის საზღვარს და თან სერბიელი გლეხი ტრიფუნოვიჩი წაათრია. გლეხი, მგონი, მოკლულია. სერბიის მთავრობამ კონსტანტინოპოლში პროტესტი გაჰგზავნა.

**პეტერბურგი.** კურლიანდიის ვიცე-გუბერნატორი სტარინკევიჩი ტომსკის გუბერნატორად არის დანიშნული.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

## გამოსადეგი ცნობანი

—

**პეტერბურგის ბირჟა 23 ივლისს**

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ. | 93,80 |
| ბერლინზე 100 მარკაზე | — |
| პარიზზე 100 ფრანკზე | — |
| ლონდონზე ჩეკები | 94,45 |
| ბერლინზე „ | 46,30 |
| პარიზზე „ | — |
| ბირჟის დისკონტი | 5—$6^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $99^5/_8$ გაყ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | $100^3/_4$ მყიდ. |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სააღგ.-მამ. ბანკისა. | $95^1/_8$ „ |
| 5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 445 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | $337^1/_2$ „ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სააღგ.-მამ. ბანკისა | $290^1/_4$ „ |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა. | 86 „ |
| ტფილ. სააღგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც. | $92^7/_8$ „ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | $91^3/_4$ „ |
| ქუთაისის სააღგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 195 „ |

## მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათუმს:** 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9) ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

**ყარსსა და ერივანს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

**ბორჯომს.** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 23 წ. (6 ს. 21 წ.).

### ბ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

### გ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ზორაპნისაკენ:** დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

## განცხადებანი

—

**ქუთაისში**

სამ. ბ. თოფურიას

**სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხაზირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—157)

---

«ტფ. გამოძ. ქართველთა ამხანაგობის»

**კიოსკში,**

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოლუმ ბეჟანისა. | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 50 |
| ბნელი მოთხრობა—შელანისა. | — | 20 |
| დ. კაზბეგის I, II და III ტომი თითო | 1 | |
| იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე | 1 | 50 |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ. | — | 80 |
| სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა | — | 10 |
| სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა. | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო | — | 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი | — | 20 |
| სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა. | 1 | 20 |
| აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 50 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 30 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 15 |
| ღვინის დაყენება პრაქტიკ. გ. პეტრიაშვილის. | 1 | 50 |
| რძე: მისივე | 1 | 50 |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა | — | 80 |
| დასტურ-ლამა | — | 20 |
| ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა | — | 50 |
| სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა. | — | 20 |
| ფიზიოლოგია—ფოსტერისა | — | 25 |

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეხლავე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 25 Іюля, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)